სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/12

ქ. თბილისი

7 თებერვალი 2024 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მისი ხელმძღვანლის

დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 5 თებერვლის № 2 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 თებერვლის № 01-05-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანლად დაინიშნოს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი ნათია ბუთხუზი;
3. განისაზღვროს პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 (15+15) ადგილით;
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**